ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1311804

ნომერი: AR1221671

თარიღი : 21.05.2014

გაცემის თარიღი : 05.06.2014

გაცნობის თარიღი : 29.02.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , მიმდებარედ , (ნაკვეთი 01/058) ; ქალაქი თბილისი , ბაგები , (ნაკვეთი 01/060) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 82 , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/070);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზარა ურთქმელიძე პ/ნ 01011004848
- თბილისი თ.ჩუბინიძის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1221671 განაცხადის საფუძელზე გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N82, მიმდებარედ (ნაკვეთი 01/070), ქალაქი თბილისში, ბაგები, (ნაკვეთი 01/060); ქალაქი თბილისში, ბაგები, მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/058)–ზე სამსახურის მიერ 2014 წლის 28 მაისის №1263932 გადაწყვეტილებით დადგინდა მიწის ნაკვეთის

სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის საპროექტო ობიექტის ფუნქცია: ერთი მრავალბინიანი და სამი სამბინიანი საცხოვრებელი სახლები.

აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით სამსახურში ამ ეტაპზე საქმის ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, შეხვალთ tas.ge-ზე შემდეგ ინტერაქტიულ რუკაზე და ძიებაში მიუთითებთ ს/კ #01.14.10.001.058, #01.14.10.001.060, #01.14.10.001.070 და იხილავთ ინფორმაციას.

თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს, ხოლო თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.